



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 45

07 / აგვისტო / 2017 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ საქართველოს „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“-სგან გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

ახალი მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილი ღია სივრცე, სინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრი, რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში და გაზარდოს/წაახალისოს მამაკაცების და ქალების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ქალთა ოთახი“-ს მოდელი შექმნილია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ საქართველოს „მცირე კავკასიის ალიანსები პროგრამის“ მიერ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის სახელით ბაზრის თანასწორი განვითარებისა და სოფლად მცხოვრები ქალების და მამაკაცების საარსებო წყაროს გაუმჯობესების მიზნით, ახალი მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახი“-ს დაარსებისათვის (პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 5 000 ლარი) შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ საქართველოს „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“-სგან ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით მიიღოს გრანტი პროექტის მთლიანი ღირებულების 54%-ს ოდენობით (გამეტიათასასორმოცდათი 13150 ლარი). მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დააფინანსოს პროექტის ღირებულების 46% (თერთმეტიათასსამასამოცდათერთმეტი 11371ლარი) და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება;

2. განკარგულება გადაეცხადოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



თამარ ყვინიშვილი